ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1096150

ნომერი: AR1186867

თარიღი : 24.12.2013

გაცემის თარიღი : 10.02.2014

გაცნობის თარიღი : 11.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1186867 24.12.2013 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქუჩა #37–ში (საკადასტრო კოდი #01.15.05.089.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას. გამომდინარე აქედან, თქვენი საკითხი შესათანხმებლად გადაგზავნილი იქნა სამინისტროში. მათი გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ. დანართი: ოქმი #02/08–317 24.01.2014), ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქუჩა #37–ში (საკადასტრო კოდი #01.15.05.089.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების საკითხი განმეორებით უნდა იქნეს განხილული შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: წარმოდგენილი იქნეს ესკიზური პროექტის სხვაგვარო გადაწყვეტა, რომელიც ორგანულად ჩაიწერება მიმდებარე განაშენიანებაში, როგორც არქიტექტურულ–გეგმარებითი ისე მხატვრული თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი განაცხადით, ზემოაღნიშნული ოქმის რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხი კვლავ გადაიგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.